

როგორ ჩავირიცხო მარნეულის კოლეჯში?



თუ გადაწყვიტე ჩვენს კოლეჯში სწავლა, აუცილებლად უნდა იცოდე ეს ინფორმაცია:

1. დარეგისტრირდი <https://vet.ge/ge> ვებგვერდზე;
2. თუ ვერ ახერხებ დამოუკიდებლად დარეგისტრირებას, მოგვმართე და მარნეულის კოლეჯი დაგეხმარება ამ მნიშვნელოვანი პროცედურის გავლაში;
3. რეგისტრაციის პროცესში უნდა შეარჩიო სასურველი (არაუმეტეს სამისა) პროფესიული პროგრამა და სასწავლებელი (კოლეჯი);
5. არ შეცვალო რეგისტრაციისას მითითებული ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა, ვინაიდან ამ მისამართებზე თქვენ მიიღებთ ყველა საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას
6. უნდა გაიარო შერჩევის ეტაპი (გამოცდა) და თუ წარმატებით გაივლით ამ ეტაპს, შემდეგ ჩაირიცხებით კოლეჯში და დაიწყებთ სწავლას.
7. იმისთვის რომ სასურველ პროფესიულ პროგრამაზე ჩააბაროთ აუცილებლად უნდა გაიაროთ შერჩევის პროცესი, მე-5 დონის პროფესიულ პროგრამებზე, შერჩევის პროცესს ატარებს გამოცდების ეროვნული ცენტრი. მე-3 და მე-4 დონის პროფესიულ პროგრამებზე შიდა შერჩევას ახორციელებს კოლეჯი მოტივაციური გასაუბრების გზით. გასაუბრების დროს მოწმდება თუ რამდენად ფლობთ ინფორმაციას პროფესიის და პროგრამის შესახებ, როგორ ხედავთ სკუთარ თავს შერჩეულ პროფესიაში, დასაქმების შესაძლებლობების შესახებ და ა.შ. მოტივაციური გასაუბრების დროს, თქვენს მიერ გაცემულ პასუხებში იწერება ქულები შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ დგება რეიტინგული სია.
8. ტესტირება და გასაუბრება შესაძლებელია ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. უცხო ენაზე პროფესიული ტესტირების ჩაბარების შემთხვევაში აპლიკანტი კოლეჯში გაივლის ქართული ენის მოდულს და ამის შემდეგ გააგრძელებს სწავლას სასურველ პროფესიულ პროგრამაზე.
9. სახელმწიფო დაფინანსება გაცივმა როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებზე.
წარმატებებს გისურვებთ.





მარნეულის კოლეჯი
COLLEGE OF MARNEULI